

მწყემსი

კატონის
მხარეთმცოდნეობის
მუზეუმი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი და მსდგის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
მავცე ცხოვარი ჩემი წაწყედეული. მსრეთ იყოს სიხარული ცოა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
მავკვით ჩემდა ყოველნი მამურალნი და ტვირთ-მამიგენი და მე განგისვენეთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 19

1883—1905

15 ოქტომბერი

ამიერი იოანე გომართლის საბაბის გამო— „რა გზას უნდა დაადგოს სამღვდლოება?“

უბედურობა როდესაც მხარეული ხარაზობას დაიწყებს და ხარაზი მზარეულობას.
(დასასრული*)

განვავტოხო, მკითხველო, სიბრძნისაგან იოანე გომართლის ეფასტოლეს საკითხავი:

„ყოველსავე ამას სამღვდლოება შესძლებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის თავისუფალი და სრულებით დამოუკიდებელი გახდება. დღევანდელი სამღვდლოება ბიუროკრატის მონა და მოსამსახურეა; ის ხალხს კი არ ემსახურება, არამედ ბიუროკრატის, და სწორედ აქ არის მიზეზი იმ ვარემოებისა, რომ ხალხსა და სამღვდლოებას-შუა ზიდი ჩატეხილია.

სამღვდლოების განთავისუფლება შეუძლებელია ისე, თუ მთელი ხალხი არ განთავისუფლდა, თუ არსებული რეჟიმი მთლად არ შეიცვალა. დამოუკიდებლობაც რომ მოიპოვოს სამღვდლოებამ, არსებულ პირობებში ის ვერაფერს ვერ გააკეთებს ხალხის საკეთილდღეოდ, რადგან იმის ყოველგვარ მოქმედებას, ხალხის ბედნიერებისაგან მიმართულს, ბიუროკრატია ყოველთვის ფრთხვს შეაკევს. სამღვდლოების საკითხი მთელის ხალხის საკითხია და ცალკე მისი გადაწყვეტა შეუძლებელია; შეუძლებელია რაიმე საშუალებით სამღვდლოების აღდგენა ხალხის თაღში ისე, თუ არსებული რეჟიმი არ შეიცვალა.“

„ამიტომ დროა, სამღვდლოება ხალხს ამოუღეს გვერდში, ხალხს დაეხმაროს მთელის თავის ძალ-ღონით ბიუროკრატის დამარცხებაში; ამით აღადგენს იგი თავის სახელს და მოიპოვებს შესაფერ

*) იხ. „მწყემსი“ № 17, 1905 წ.

ადგილს ხალხის ცხოვრებაში. ამგვარ მოქმედების გარეშე კი ყოველი სხვა გზა ამაო და ტყუილი იქნება და სამღვდლოებას ვერ მიიყვანს საწოდლო მიზნამდე.“

ბ. გომართელს, როგორც თვითონ გამოაცხადა არაფერი საიქიოსი არა სწამს-რა და კაცის სულიერი და ზნეობრივი მოთხოვნებანი ამაო მორწმუნეობად მიიჩნია. მღვდლის უმთავრეს მოვალეობას კი შეადგენს, რომ იგი ნიდავგ ზრუნავდეს თავიანთი სამწყსოთა სულის ცხოვრებაზე, ნიდავგ ახსოვდეს, რომ იგი პასუხის მებებელია ღვთის წინაშე თავიანთ სამწყსოთა სულის წარწყმედისათვის. იგი ვალდებულია არ დაუკარგოს არც ერთი სული, რომელიც გამოყიდულია ქრისტესაგან. ამას ავალდებს მწყემსთ თვით იესო ქრისტე, როდესაც ბრძანებს: „წარვედით და მოიმოწაფეთნი ყოველნი წარმართნი და ნათელს სცემდით მათ სახელითა მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა“. სახარებების სწავლით დადგენილნი არიან შეიღნი საიდუმლონი, რომელთა აღსრულება სავალდებულოა მღვდელთათვის...

ურწმუნო კაცთან ლაპარაკი და დაობა სწორეთ ვერ ძნელია, როგორც გიჟთან. გიჟს ელაპარაკე რამდენიც გინდა, ის შენს ლოდიკურ მოსაზრებას სრულგნობით ყურს არ დაუღვდებს, ის მხოლოდ იმას გეტყვის რაც მისი ანთებული ან დაილონგებული ტვინი შთაგონებს. შენს სიტყვებს ხშირად ყურსაც არ ათხოვებს. კაცს, რომელსაც არაფერი სწამს სახარებისა, რას დაუმტკიცებთ თქვენ ამ სახარებით? მაგრამ ჩვენს „სასწაულოთმოქმედ“ ექიმს იოანე გომართელს იესო ქრისტე სხვებ თუ არა სწამს, დიდებული მოქალაქებთ მიანიც მიიჩნია, როგორც თვითონ აღიარებს. ამისათვის სახატებების სიტყვებს, როგორც მის სიტყვებს, მის სწავლა მოძღვრებას, უარი არ უნდა უთხრას. აი რას ვკითხულობთ ჩვენ სახარებაში:

წუ ზრუნეთ სულისა თქმნისათვის, რაჲ ჰქაჲთოთ და რაჲ სუთო, ნურცა კორცთა თქმნთათვის, რაჲ შეიშისოთ. ანუ არა სული უფროს არს სახარდლისა, და ვაჲში სამოსლისა?

მიჰედეთ ფრინჭლთა ცისათა, რამეთუ არა ჰსთეს-ჭენ, არცა ჰქვიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და მამა თქმნისი ზეცათა ჰზრდის მათ, არამე უფროს თქმნს უმჯობეს ხართა მფრინჭლთა?

ხოლო თქმნს ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმაართლესა მისსა, და ესე ყოველი შე-გვიძინოს თქმნს.

ეკრძალენით კრუწინასწარ-მეტყუპლთაგან, რომელნი მოვიდნენ თქმნდა სამოსლითა ცხოვრათა, ხოლო შინაგან იყენენ შევლ-მტაცებელ.

რამეთუ რა სარგებელ ეყოს კაცსა, უკეთ სოფელი ყოველი შეიძინოს, და სული თვის იხლდეს? ანუ რა მამაცეს კაცანი ნაცულებ სულის სივისსა?

ზემო მოყვანილი სახარების სიტყვები ცხადათ და აშკარად მოწმობენ, რომ მღვდელი უმეტესად უნდა ზრუნავდეს თავიანთ მოწყვვის და სამწყსოის სულის ცხოვრებისათვის და მათ ზნეობით ამაღლებაზე და არა თავიანთ სამწყსოთა ეკონომიურ და ბოლიტიკურ მდგომარეობაზე. ფუჰია კაცის ამ ქვეყნად ფუფუნებითი ცხოვრება, ფუჰია ხალხისათვის იდეალური მართვა-მამეობა თუ იგი დაცემულია სულიერად და ზნეობითად! რა უნდა შეიძინოს კაცმა ამ ქვეყანაზე თავის სეინდისზე და სულზე უმჯობესასი? მაგრამ ტყუილად დროს დაკარგვა იქნება ამ სიგანზე ბაასობის გავრძელება ბ. ექიმ გომართელთან. თათარს და ურიას, რამდენიც უნდა განუმარტო ქრისტეს მცნება, რამდენიც უნდა მოუყვანდ სახარების სწავლა-მოძღვრება მათ მიანიც ვერ დაავტერ და თავიანი სჯულის მცნებაზე უარს ვერ ათქმევინებ...

ბ-ნი გომართელი ჯერეთ ახალგაზდა კაციო, გამოუცდელი ცხოვრებაში, სულიერი ქვეყნის უარყოფით დიდ გენიოსად მოაქვს თავი. იგი სახარების სიტყვებს უკულმართად განმარტებს.*)

ბ-ნი გომართელი, ძველი დროის პაიჭებივით ხშირათ იცულის აზრებს და, დარწმუნებული ვარ თავის დღევანდელ რწმენას სიბერის დროს, თუ სიღგონებაზე დარჩა, უთუოდ შეიცულის და ბევრსაც ინანებს ზოგიერთ გამოჩენილი მწერლებივით როგორც, მაგალითებრ, ნანობდა პუშკინი და სხვები, მაგრამ გვინდა იქნება!..

გომართელს ჰგონია, რომ მდიდრები ამ ქვეყ-

*) სემინარიასა მყოფობას დროს ერთი ამხანაგი შევადა, რომელიც ეველა შეკირდებში უკანასკნელა იყო. არც ერთ საკანში ერთზე და ორზე ევეუესი ნიშანი არ ჰქონდა. დარგინის წიგნი იუიად და ნიდავგ იდღვამო ატარებდა. ვინც კითხვად რა წიგნიაო, ეველას ეუნებოდა: დარგინის თხზულებათა და მათი ფარავდა თავის უფიგობას და გონებით სიდატაკეს...



ნაზე ბენდიერები არიან. არ იციხს მან თუ რა ჯოჯობითია ცხოვრება ზოგიერთ მდიდრის და რა ზეუნერათ სცხოვრებს მდიდარზე ბევრად უღარიბეო ოჯახი. ჩვენმა „შესანიშნავმა“ ექიმმა, იოანე გომართელმა, არ იციხს ჯერეთ, რომ ქვეყანაზე არ შეიძლება ყველა ერთნაირად ბენდიერად სცხოვრებდეს ისე, როგორც არ შეიძლება ყოველი კაცი ერთნაირი მალხაზი გონებით, ერთნაირი ქვეუთი ბნით იხადებოდეს. ბ. გომართელი თავისებურად, ახირებულად უყურებს ხალხის ცხოვრებას, ახირებულად და თავისებურად ხსნის ხალხის სიღარიბეს და სიძაბუნეს. ხალხის ყოველივე უბედურობის მიზეზად სთვლის მართო ბიუროკრატის ბმდირებს. გომართელი ისეთ რამეს მიაწერს ბიუროკრატის და მდიდრებს, რომელიც სრულებით არ მიეწერება. ქალბი არ არიან კმაყოფილი, რომ იგინი ქალბად დაიბადნენ. მე დარწმუნებული ვარ, ეს რომ დედაკაცებმა შესჩივლონ ბ. გომართელს ის უთუოდ ამ მოვლენის მიზეზად ბიუროკრატის დასახელებდა და მღვდლებსაც დამნაშავედ გამოიყვანდა, რადგან, მისი აზრით, „მღვდლები ბიუროკრატის მძაბლი სურვილის აღმასრულებელი არიან.“

სახარება ბრძანებს: „არა შესაძლებელ არს მსახურება ღვთისა და მამონისა“ (ეშმაკისა). კაცი ღმერთს თუ არ ირწმუნებს მამონას, (ეშმაკს) ერწმუნება და ემსახურებაო. წინეთ ბ. გომართელმა აღიარა, რომ არა მრწამს არაფერი სახუნაოვო და ეშმაკების არსებობა კი სწამს! ეს ცხადად სჩანს მისი სიტყვისაგან „სამღვდელოება ეშმაკებს ემსახურებაო“. ვინაიდან გომართელს სამღვდელოება ეშმაკების მოსამსახურედ მიანია, რამდენიც უნდა დაუშტკიცო მას ვერ დააჯერებთ, რომ სამღვდელოებას სარგებლობის მოტანა შეეძლოს ხალხისათვის, რომ სამღვდელოებაზე რიგიანი და დიდი მსახურები გაუწიოს ხალხს...

არ შეიძლება მთელი სამღვდელოება უნაკლულად დაესაბო და ყველანი თავის დიდი მოვალეობის აღმასრულებლად. ამის მოთხოვნა ყოველი მღვდლისაგან დღეს არც შესაძლებელია. ვინაიდან ჩვენში მღვდლები არ არიან ყველანი მომზადებულნი და გონებით განვითარებულნი, რომ ხალხის წინამძღოლობაც შეიძლოს სწავლით და ქადაგებით და მღვდელმოქმედების აღსრულებაც. მაგრამ ამაში დამნაშავეა ისევე ხალხი, რომელიც არ ამდებს

როგორც უნდა იყოს მღვდელი, ოღონდ წირვა და საიდუმლო მღვდელმოქმედებათა შესრულება შეიძლოს. უმრავლესი ნაწილი სამღვდელოების ამ უკანასკნელ მოვალეობას ასრულებს. იმათ სრულებით არ იციან ბიუროკრატია და არც ბიუროკრატია მიიქცევა თავიანთ სურვილის აღსასრულებლად მათდამი. მაგრამ მრავალნი არიან ისეთებიც, რომელნიც ბ. გომართელზე ბევრად მეტს აკეთებენ სოფლებში და ბევრად მეტს სამსახურს უწევენ საზოგადოდ ხალხს და განსაკუთრებით თავიანთ სამწყსოს. გომართელის ხსენება არ იყო ქვეყანაზე იმ დროს, როცა სოფელში ჩამდგარი ბეერს ევოგებოდით ხალხის შემავიწროებელთ და დამზავრებელთ. ვიმოწმებთ ამაზე შორ. მაზრის გლეხობას. ჩვენს გარდა სხვაგანაც არიან ამისთანა მუშაქნი, მაგრამ გომართელის აზრით თურმე, ყველა სამღვდელოება ეშმაკებს ემსახურება!.

სად ბრძანდებოდით, ბ. ი. გომართელი, 1886 წელში, როცა ჩვენ, გაზეთებში წერით კი არა, ოფიციალურად განაცხადეთ პროტესტი დედაენის მოსპობაზე სკოლებში, რომლისათვის განსვენებული იანოზები ცოცხეყენისკენ გადასახლებას გვეტყდოდა. სად ბრძანდებოდა ბ. ი. გომართელი, როდესაც არც პრესას, არც მთელ თავად-აზნაურობას და არც გლეხობას არ მიეგებრეთ ერთ თავის დამამცირებელ დღესასწაულობაზე?.. სად ბრძანდებოდა, ბ. ი. გომართელი, როცა საწყული დაზავრული გლეხები შორაპნის მაზრისა ჩვენის ქომაგობით განთავისუფლად მუქთად შეშის ზიდვისაგან პოლიციაში მოსამსახურეთათვის? იცის თუ არა, ბ. გომართელმა, რამდენი უსიამოვნება მოგვდგომია ჩვენ ბიუროკრატის მოსამსახურეებისაგან გლეხების ქომაგობისათვის? ეხლა თქვენთვის მომინდვია, მეიხივლო, რამდენად საფუძელიანია გომართლის ბრალდება ვითომც ჩვენ ეშმაკებს ვემსახურებოდეთ გომართელი, რომ ბრალს არ მუქბდეს მთელს სამღვდელოებას მაშინ ჩვენ ხმას არ ამოვიღებდით. მთელ სამღვდელოებაში, რასაკვირველია, შეიძლება ბეერი სამღვდელოება იყოს ხალხისთვის უსარგებლო. თორმეტ მოციქულში ერთი იუდა გამცემელი გამოერია! მაგრამ იუდას გულისათვის, რომელი ქუევიანი კაცი იკადრებს ყველა მოციქულს გამყიდვლები უწოდოს? გომართელს არა აქვს უფლება ბრადენიმე სამღვდელოების ცუდი ქტევისათვის სხარებაც, ეკლესიაც

და ათელი სამღვდლოებაც უარ-ჰყოს ღ შეაჩვენოს...

გომართელს ჰგონია, რომ მღვდლები არა თანაუგრძობენ ხალხის სასიყუარო საქმეს და სასურველ მისწრაფებას... ძლიერ სცდებით თქვენს მოსაზრებაში, ბ. გომართლო. თქვენსავით, რომ არ ვსჯიდეთ, თქვენსავით, რომ არ ვყვიროდეთ აქედან ის დასკვნა არ შევიძლიათ გამოიყვანოთ, რომ არ ვიყნოთ მონატრე სახელმწიფოს იმისთანა თავისუფალი მართვა-გამგეობისა, როგორც სუფევს ევროპის განათლებულ და დაწინაურებულ სახელმწიფოებში. საყოველთაოდ აღვიარებთ, რომ არა გერწამს ჩვენ ხალხის ბედნიერი ცხოვრება იქ, სადაც თვითონ ხალხის წარმომადგენლები არ განაგებენ სახელმწიფო შესავალ-გასავლის ანგარიშს. არა გერწამს ჩვენ ხალხის რაიანი და წარმატებითი ცხოვრება იქ, სადაც არ არის თავისუფლება პიროვნებისა, ბეჭდვითი სიტყვისა და სარწმუნოებისა. დავათვლიერეთ ყველა სახელმწიფოები ევროპისა, დადაკვირდით მათ ცხოვრებას და იქაურ ხალხს და სახელმწიფოს მართვა-გამგეობას და მიველით იმ დასკვნამდის, რომელიც ეხლა მოვიყვანეთ. მაგრამ, სამწუხაროდ, აქვე უნდა ვსთქვათ გამოტყუილად, რომ ჩვენს პრესას და ჩვენს პუბლიცისტებს ბევრი რამ აკლიათ და ბევრში კოკლობენ. როცა სჯიან, თუ რა საშუალებით და რა ღონისძიებით მიანიჭონ ხალხს სანატრელი რეფორმები. ევროპის სახელმწიფოების ხალხს იე ადვილად არ მიუღწევია იმ სანატრელი რეფორმებისათვის, როგორც ჩვენში ზოგიერთებს, ესე საადვილოდ მიიჩნიათ. რეფორმების შემოღება, განსაკუთრებით მოთავე და მოწინავე კაცებისაგან, ითხოვს დიდ გამჭირაობას, დიდ გამოცდილებას, შორს განმკვერტელობას და ნივთიერად შეძლებას. საშლვარს გარედ რეფორმების მოსახდენათ დიდი ხნიდან ემზადებოდა ხალხი. მარტო წერით ვერ მოიაზლოვებთ ზაფხულს...

სანატრელი ცვლილების მოსახდენად ხალხი ერთმანეთზე მტრად კი არ უნდა გადაჰკიდო, არამედ შეათანხმო და მათ შორის ნამდვილი ერთობა და ამკვიდრო. ქართველები მაშინ იყვნენ გამარჯვებულნი, როდესაც მათში იყო ერთობა, თანახმობა და ძმური სიყვარული. ქართველები მაშინ იყვნენ უძლეველნი და კლდესავით მგაბანი, როდესაც ერთ ხელში თოჯინა და სამომარი იარაღი ეჭირათ და მეორე ხელით ეკლესიას აწუნებდნენ. ბანი ეჭიმი გო-

მართელი კი ხალხს ურჩევს ეკლესიებში დასამღვდლოება და სამღვდლოება თავიდან მოიშოროს!.. ამით გეკუთდება საქმე? ამით მივღწევთ საწაღლს? ეკლესიების დაქვეით და მღვდლების მოსაპობით სად მიაღწიეს ბედნიერ ცხოვრებას და რეფორმებს? დაგვისახელოთ, ბატონო ექიმი იოანე გომართლო, ერთი სახელმწიფო მაინც სადმე დედამიწაზე, სადაც ეკლესიები და სამღვდლოება არ არსებობდეს? რაღა თქვენ მიხვლით და შეიტყვეთ ეკლესიების და სამღვდლოების მანებლობა და ამერიკელები, ინგლისელები, შვეიცარიელები, გერმანელები და სხვა ხალხები ვერ მიხვდენ ეკლესიების ღ სასულიერო წოდების მანებლობას და ვერ მოსპეს იგინი? საღმრთო წერილი ამბობს: „როცა ეგონათ თავისთავი ბრძნად, მაშინ გასულელდნენ“. ამას ამტკიცებს სწორეთ ზოგიერთების მსჯელობა!..

ბ. გომართელს გაუგონია, რომ საფრანგეთში ხალხი კლერიკალების ღ კონგრაგციების წინააღმდეგნი არიანო და ჩვენს სამღვდლოებასაც კლერიკალებად სთვლის! ამით აშკარად ამტკიცებს, ბ. გომართლი, რომ არ ესმის კლერიკალიზმი და არც ჩენი სამღვდლოება...

შენცდარი ბრძანდებიან ისინი ვინც ფიქრობს, რომ ხალხის გაპროლეტარიატებით ეღირსონ სანატრელ რეფორმებს. კარგია, რომ ხალხს არ ესმის რა არის პროლეტარიატი არ არის ჩვენში პროლეტარები და ღმერთმაც ნუ გააჩინოს იგინი. აუხსენით და განუშარტეთ ხალხს ვინ იწოდება პროლეტარიატად. შეატყობინეთ ხალხს, რომ უტყობეთში პროლეტარიატებად იწოდებიან ისინი, რომელთაც არ იციან არც დედა, არც მამა, რომელთაც არა გააჩნიათ-რა სრულებით არც სახლი და არც კარი და მხოლოდ მუშაობენ და დღიურად ირჩენენ თავს. ეხლა რამდენია ამისთანა პროლეტარები ჩვენში?..

ზემო თქმული სიტყვებით იმას კიარ ვამტკიცებთ, რომ რეფორმები საჭირო არ იყოს. არა, რეფორმები საჭიროა მიუცილებლად, მაგრამ ხალხის გაპროლეტარიატებით კი ვერ დავარსებებთ ამ რეფორმებს, არამედ სხვა ღონით და სხვა საშუალებით...

სათქმელი ბევრი გვაქვს, მაგრამ აღარ შევაწუხებ მკითხველს გრძელი სიტყვით. უკანასკნელად ვითხოვ, ბ. ი. გომართლო, კატეგორიულად გვიპასუხოთ:

1) როგორ ეწინააღმდეგება ჩენი სამღვდლო-



ლოება სწავლა-განათლებას, როდესაც წერა-კითხვის გამავრცელებელი და სკოლების დამაარსებელი ჩვენს ვუბერნიაში სწორეთ ეს სამღვდლოება იყო და არის იმ დროიდან, როცა ჩვენში ხსენება არ ყოფილა სახალხო სკოლების ღირეკტორებასა და ინსპექტორებას?

2) როგორ ეწინააღმდეგება სამღვდლოება ხალხის კეთილდღეობის დაარსებას და ახალი რეფორმების შემოღებას?

3) რაში მდგომარეობს სამღვდლოებისაგან ბიუროკრატიის მდებალი სურვილის ასრულება?

4) რომელი მოქმედებით გამოიხატება სამღვდლოების მხრით წინააღმდეგობა რეფორმების შემოღებისა?

5) ვითარი იყო საქართველოს ერისთვის სამღვდლოების სამსახური მეთვრამეტე საუკუნემდის და, თუ მეცხრამეტე საუკუნეში მის სამსახურს ნაკლი აქვს, ვისი ბრალია ეს და ვინ არის იმაში უმეტესად დამნაშავე?

6) რაში მდგომარეობს მღვდლის მოვალეობა ხალხის და ლეთის წინაშე?

დტბ. ღ. ღამაშაძე.

P. S. ჩვენ ძღაერ გვაკვირებს ბ. გამართელის მოქმადრეუღა ზსუსხა. ბ. გამართელა ვადღეუღლი იყო მოეცაღა ჩვენი ზსუსხის დასრუღებასთვის, წვეკათსა იღო და მოეცა რეიკანი ზსუსხი. ეს მოეცაღებუღლი ვაღია უაღუღლი რეიკანი შვერდასი, რამეღად აღჭურღიღია სემართლით და გუღწრღეღობით. შემდეგ ნომერში ჩვენ გავსრეღთ ზსუსხს ბ. გამართელის მოსწარღებუღლ ზსუსხსღ.

ღ. ღ. ღ.


სახალხო სკოლებიდან სამღვთო სკუღლის განდღეღბის შესახებ, — მხოლოდ ახლა ამოიღღეს ზმა და წერიღლოებით პროტესტი განუღცხადღეს კრღების-შიერ მიღღეღლო რეზოღლიუღკის. «სახალხო სკოღებიდან სამღვთო სკუღლის განდღეღვნის გამართღება არაღფრით არ შეიღღლებოღ», ამბობენ ისინი: «საღლი ზედღაღვიკის შეხღდღეღებით, ყმაწვიღის აღზრღა უნდა წარმოადღენღდღეს მის ყოველ სულიერ ზუნღების ძაღთა და ნიღტა ზარმონიღულს განვიღთარღებას; ამიტომ სკოღა უნდა აღღვღედღეს საღკირო საზრღოს, როგორღ კაცის გონღებას, ისე მის სულს, რადღან მისი (სკოღის) დანიღწულღება მარტო სწავღება კი არაა, არამედ ნამღღვიღლი აღზრღა. 24 აგვისტოს შემუღშვეღებული პროგრამა კი მხოლოდ სხეადასხეა საღკირო ცნობეღით ღონღის გასამღღღრღებღელადა ნაანგარიღშვე. ყმაწვიღლის გონღების განვიღთარღებასა და სუღის აღზრღდას კი პროგრამაში თითღქმის სრულიად არა აქვს დათმობიღლი ადღგიღი... სამღვთო სკუღლის გონიგრღულად სწავღლებას, ღღიღი მნიღშენღლობა აქვს ყმაწვიღის ხასიათის გაწურღთნა-განვიღთარღებაში... ვერსად ვერ ვზოვეღთ ჩვენ იმღდენს შესანიღწავ მავაღლითეღს ადამიანისაღში თეღეანწირღულ სიყვარღლისას, იმღდენს რწმენღის შეღურეღეღლობასა და სიმტკიცეს, რომ მუღდამ მზად იყო სიმაღრღლისთვის, რადღენიღც დაბადეღბაში და საღკრისტიანო ეკღლესიის ზორღველ საუკუნეღთა ისტორიაშია... სამღვთო სკუღლის პროგრამიღღრ განდღეღვა ზირდაზირ ზედღაღვიღური კრღღვაა. არღერთს ვერღობის განთღღებულ სახღმწიღფოში, რომელთაღც ჩვენღე მეთი ზედღაღვიღური გამოკღღიღება აქეთ, ისთვის ოსტრაკიღზით არ განუღღვენიათ სამღვთო სკუღლი, როგორღ ჩვენში უღირღებენ მას. მხოლოდ ერთადღერთმა საღწრანგეთმა გაგვაცნო ამ მხრით თეღი, მაგრამ იქაღც მხოლოდ სიღტყვიღთ განიღღღენა სამღვთო სკუღლი, თორემ საღკით ისეღ ასწავღლიან მას იმავე სკოღაში, მხოლოდ სხეა, ახალ, — «მორღლი»-ს სახელით... გაუღკებრღობად მიგვანიღა ჩვენ იმის მტკიცეღბა, ვითომ სამღვთო სკუღლის სწავღებით ჩვენ განგებ ვხდიღდეთ ბეღშვეღებს კრღუმორწმუნეღებად. ვერღც ერთი გულწრღფელი, კეთიღ-სინღღისეღრი კაცი ვერ უღარღჰყოღს იმას, რომ კაცს დაბადეღბიდანვე თან დაყოღიღლი აქვს ვერღდ წოღღებუღლი სარწმუნოებრიღი ნიღტი (религиозная сознательность), რომღმღსაღც საყოველღთო ხასიათი აქვს და რომელიღც, მამსაღდამე, ზუნღებრიღიღა. ამიტომ,

სამღრთო სკუღლის სწავღების შესახებ.

ქუღთათურმა მღვღღლებმა, რომენღიც, 24 აგვისტომღს სხეა მასწავღლებღებთან ერთად, მოწვეღულნი იყენენ ქღლიღკის საღკობს დარბაზნი სკოღებისათვის საგანგებო კომისიის მიერ შეღღგენიღლ პროგრამის განსახიღვეღლად და, რომელთაღც, — როგორღც თეღითონ აცხადებენ, თეღის მოხსენებაში, — კრღებაღე ზოგერთ მოსახრღებათა გამო თეღისი აზრი ვერ წარმოღსტქეღს

ვინც საჭიროდ არ სთვლის სამღვთო სჯულის სკოლაში სწავლებას, იმას ან შეგნებულად უნდა დააჩუქუნდეს ეს ბუნებრივი ნიჭი, ან სულ უუყურადღებოდ დასტავოს იგი. სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევაშია მოსალოდნელი ცრუ-სარწმუნოების გავრცელება, რადგან, თუ რომ ბუნებრივ მოთხოვნილებას გონივრულად და შეგნებულად არ მიეცა გზა და მიმართულება, უსათუოდ დამახინჯებულ და შემცდარ გზას დაადგება... ზოგიერთებისაგან ნაჩვენები საშუალება—ვისაც საღმრთო სჯულის სწავლა სურს, მან კერძოდ მიმართოს მღვდლებსაო, —საქმეს არამც თუ ვერ უშვავს, პირიქით კიდევ უფრო წაახდენს და სრულიად განაცალკევებს ერთმანეთისაგან სასულიერო და საერო სკოლას, რომელთა შეერთება ყველას გულითა სურს(?). ზოგიერთის, ვითომც ენა მახვილი ვეებატონის განცხადება შესახებ იმისა, თითქოს საღმრთო სჯულის სწავლა ბავშვებს გონებას უჩლუნგებდეს, ამტყუნებს თვითონ ამ ვეებატონებს, რომელნიც თავის ზრის დასამტკიცებლად უთითებენ სასულიერო სემინარიებზე, საიდანაც, მათის აზრით, შეგნებული ატეიტები უნდა გამოდიოდნენ. თუ რომ სემინარიებიდან შეგნებული ათეისტები გამოდიან, სხანს,საღვთო სჯულის სწავლა არამც თუ გონებას არ უჩლუნგებს მოწოდებებს, არამედ იმდენად ანვითარებს მათ, რომ შეუძლიან შეიგნონ ყოველი რთული ფილოსოფიური შეხედულება, თუნდაც ათეისტურია... ხსენებულ პირთაგან ხაზის გასმა საღვთო წერილიდან ამოღებულ ტექსტებისა რომელნიც ვითომც ბავშვებს განსაკუთრებით უნდა აჩლუნგებდნენ, ვერ ამტკიცებს სამღვთო სჯულის სწავლა მარტო ტექსტების სწავლისაგან არ შედგება როგორც, მგალითად, გეომეტრიის სწავლა მარტო თეორიების გაზებირებას არ შეიცავს. თუ რომ გეომეტრიის მასწავლებელი მოწოდებებს მარტო თეორიებს აზებირებინებს, ის მართლაც ტვინს უჩლუნგებს ბავშვებს; მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, ვითომც გეომეტრია საზოგადოთ ტვინს აჩლუნგებდეს და საჭირო იყოს სკოლიდან მისი განმეგება. კიდევ რომ ვსთქვათ, ამჟამად სამღვთო სჯული გონებას კი არ ანვითარებს, არამედ უჩლუნგებს ადამიანს, ამაში თვითონ სამღვთო სჯული კი არ იქნება დამნაშავე, არამედ ეხლანდელი მისი სწავლების მეთოდი. ამიტომ სამღვთო სჯული კი არ უნდა განვიმეოთ სკოლებიდან,

არამედ უკედ უნდა დავაყნოთ მისი სწავლების საქმე, და მაშინ მოსცილდება მას ის მძიმე ბრალდება, რომელსაც ასე დაუმსახურებლად კისერზედ ახვევენ“. (ივ.ერ.“)



სათავედ-აზნაშრო გიზნაზი

დასრულდა ტფილისის გუმბერნის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების კრებები. უმთავრესი მიზანი ამ კრებისა იყო სათავედ-აზნაშრო სკოლის შერყეულ მდგომარეობის გამოკრევეა და მკვიდრი ნიადაგზე დამყარება. მართალია, საზოგადოებამ იორჩია კომისიები, რომელთაც უნდა შეიმუშაოს მომავალ როგორგანაზიციის პროექტი, საზოგადოება მომავალის სამზადისს შეუდგა, რომ სკოლას ღირსეული სახე მისცეს,—მაგრამ, საუბედუროდ, მან ვერ მიიღო ისეთი ღონისძიებანი, რომელთა შემწყობობით დღევანდელი აწეული მდგომარეობა გამოიკვეულიყო და სკოლაში წესიერი მცეადინეობა დაწყებულიყო.

მე მწაას, რომ, როგორც მ.სწავლებლები, ისე მასწავლებლები მონაწილეობას იღებდნენ ხალხისთვის რაიმე აუცილებელ საჭირო ძირითად უფლებების მოპოებაში და ამისათვის სხვადასხვა ზომებს მიმართავდნენ, თუნდაც ამ მოქმედებას შედეგად მოჰყვეს თვით სასწანლებლის დახურვაც,—დიად მიზანის თანაბარი მსხვერპლი დასანანი არ არის. მაგრამ დიდი შეცდომა იქნება, თუ მსხვერპლად ეძლევა საქმე ისეთ მიზანს, რომელიც ამ მსხვერპლს ვერ გაამართლებს. არც ერთი ისეთ პრინციპი არ წამოუყენებია სათავედ-აზნაშრო სკოლას ამ ეჟამად, რომელიც მთელი ხალხის ინტერესს იცავდეს ან ამ ხალხის რომელისაჟე კლასისას. ჩვენ აქვერ ვხედავთ საზრძოდეველ საგანს, რომელიც საჭიროებდეს ან მოითხოვდეს რისკს, რომელსაც შეიძლება სკოლის თვითარსებობის მოსპობაც მოჰყვეს შედეგად. მთელი უთანხმოება შეეხება მხოლოდ ინეთ კითხვებს, რომელნიც სავსებთო თავსდებიან სკოლის შინაურ ცხოვრების ფარგალში

საზოგადოებრივმა უყურადღებობამ სკოლა სრულ დემორალიზაციამდე მიიყვანა. მის ვიწრო



კვლევებში წლიდან წლამდე ძლიერდებოდა და ფესვებს იღვამს დესპოტიზმი, რომელიც თანასწორ ასახიზრებდა და სწავრავდა, როგორც მოწაფეებს, ისე მისწავლებლებს. ბოლოს საქმე იმ წერტილამდე მივიდა რომ მთელი ეს ძველი სისტემა ერთიანად დაიშალა. ძველი ტრადიციები, ძველი ურთიერთობა ძირიან ფესვიანად ირღვევა. არაფერი არაა ისე საქმინელი, როგორც ასეთ დროს შესაფერი მოქმედება. ყველა რაღაც რყევამია, სულს მოუსვენრობა ეტყობა, ყველა ახალს ეტანება და წასულის შიშით ამ ახალსაც უნდობლად ეპყრობა.

ამ გარემოებაში, როგორც ყოველთვის, საქიროა გვახსოვდეს, რომ მოქმედების ტაქტიკა უნდა ეთანხმებოდეს მიზანს. აქ შესაძლებელია ორი შემთხვევა. პირველი შემთხვევად ჩიოვდება შემდეგი მდგომარეობა, როცა მიზნად გვაქვს სრულიად დაფარდვიით ძველი წყობილება, მოვსპობთ ის და მის ნიადაგზე ახალი წყობილება დავაწესოთ. ამ შემთხვევაში ყოველი ზომა, მიზნისკენ მიმართული, უკიდურესი არ იქნება. აქ საქიროა მთელი ძალის მოკრება და ძველთან შებრძოლება. მეორე შემთხვევა არის მაშინ, როცა ჩვენნი მოქმედება მომწყვდევულია განსახლებრულ საზოგადოების ფარგალში, როცა მოქმედით არ სწადიანთ ამ საზოგადოების დანგრევა, მოსპობა, — პირიქით, სურთ მიიზნონ საზოგადოების უმრავლესობა, რომ, მათი აზრით, ქეშპირიტი პრინციპები განახორციელონ ამ უმრავლესობის შემწყობით. ასეთ შემთხვევაში ბრძოლის ტაქტიკა სულ სხვა. ამ შემთხვევაში მთავარი სურვილი ისაა, რომ შეცვლილ იქმნას საზოგადოების მოქმედების ხასიათი და არა მისი ძირითადი პრინციპები. ამ საზოგადოების ფარგალში მოქმედი კლდობს ყოველთვის, რომ საზოგადოებამ მიიღოს სწორედ მისი აზრები და მათი მიხედვით იმოქმედოს. იგი ეწყება აიტაკიას საზოგადოებაში, მწერლობაში, კრებებზე, მაგრამ, თუ საზოგადო კრებამ არ შეიწყნარა მაინც მისი აზრი, იგი ემორჩილება მის გადაწყვეტილებას, რამდენადაც ეს მოქმედებას შეეხება. იგი მოქმედებს საზოგადო გადაწყვეტილების თანახმად, ხოლო, რასაკვირველია, კრიტიკას განაგრძობს ძველებურადვე.

პირველი გზა არის, ესე ვთქვათ, სარეკოლიუციო, მეორე — კონსტიტუციონური. მეორე შემთხვევაში იბრძვიან უფლებებრივ ნიადაგის ფარგალში.

მე გგონია, არავითარი საფუძველი არა გვაქვს. სათავად-ანზაურო გიმნაზიაში გამართული ბრძოლა პირველ კატეგორიაში ჩაერისხობთ, პირიქით ის საესეთი შეგვიძლია მეორე კატეგორიას ვაკეთებთ. ამიტომაც მოქმედებაც შესაფერი უნდა იყოს. ყოველი ღონისძიება მოამქმედ ძალებსა, რომელიც სწავლის შეჭრებას გამოიწვევს, არაა გასამართლებელი. სამართლიანია და საქებია ყველა იმათი მისწრაფებანი, რომელნიც ცდილობენ სკოლის გაწმენდას და ამაღლებას. და თუ ეს მიზანი დღეს საესეებით ვერ სრულდება, მოქალაქობრივი განუვიტარებლობა იქნება, ამისათვის სკოლის მოქმედება შევაჩეროთ. საქმისაგან გაქტევა საქმის ვაკეთება ხომ არაა, — ეს მხოლოდ მოქალაქობრივი სისუსტეა. პირიქით, იმ მიზეზების გამო, რომელიც დღეს საბრძოლველ საგნადაა გამხდარი, სკოლის დახურვა საზოგადობრივი არარაობის გამოამყვანებელი იქმნება. (ი.ვ.“)

ზემო სვანთი.

IV.)

ხალხის ზნე-ჩვეულებანი,

«ლაღას მამაღაღელ»

ტერის საზოგადოებაში, სოფ. უღვალში ყოფილა ძველად აგებული ეკლესია წმ. გიორგის სახელზედ, რომელიც ეხლა დანგრეულია. ეს უღვალის წმ. გიორგი მიაწინათ სვანებს მთელ ზემო სვანეთში ხურეებისაგან მხსენლად. გახდება თუ არა ვინმე ამ სენით ავათ, ის მაშინვე შესახოვს უღვალის წმ. გიორგს: ოღონდ კი მისსენი ამ ავათყოფობისაგან და მთელ ჩემ სიკოცლემში ყოველწლივ შემოაწვირავ ცხვარს და ან მამალსო. თითქმის ყოველ ოჯახში მოიძებნება თითო-ორიოლა ამვერის მსხვერპლის აღმთქმელნი; დროთ ამ მსხვერპლთა შეწირვისა კი აქუთ დანიშნულ „მეხვერე და ფარისეველის“ წინა ეკირა. ამ ეკირა საღამოს დაამზადებენ ყველა იმას, რაც ოჯახის წევრთ სათითაოდ აღმთქმელნი აქუთ და ამას ვარდა კარვ დაკვეთ მთელი ოჯახის საკეთილდღეოდ კარვ ვოქს. როდესაც ყველაფერი მზად იქნება, მაშინ ოჯახის უფ-

*) ის. „მწყემსი“ № 18, 1905 წ.



როსი იღებს არაყს, სამ სეფისკერის მსგავსად გამომცხვარ პატარა პურებს, შეავედრებს უღვალის წმ. გიორგს თავის ოჯახს და სთხოვს, რომ იხსნას სხნებული ოჯახი ხურგებისაგან, მერმეთ დასხდებიან და ივახშებენ.

მაგრამ ძველად მარტო ამ მსხვერპლებს როდი დასჯერებინა და დაუმწესებიათ მთელი კვირის განმავლობაში მარხვა, როდესაც მთელ სვანეთში არც დიდი და არც პატარა არაფერს ხორციელს არ სჭამს; ამის გამო ამ „მეზვერე და ფარისევლის“ წინა კვირას ეძახიან „ლალოა მუშაადღ“-ს ე. ი. აღების, დამარხების კვირას.

პარასკევს დაკლავენ ყოველ ოჯახში თითო კარგ ტახს წმ. გიორგის სახელობაზედვე, რომელსაც თავიანთ ოჯახებს კიდევ შეავედრებენ. ამ პარასკევს ეძახიან „პეერე ვებრის“ ე. ი. ტახის პარასკევს. ამ ტახის შიგნულს შესჭამენ მეორე დღეს, შაბათს, დილით და რაც მორჩებათ იმას კი არ შეინახენ, არამედ დასწვავენ, როგორც ძველად ებრაელები, ცოდვებისაგან განსაწმენდათ. ამ შაბათს ეძახიან „მერსანაბა“.

უნდა ვსთქათ რომ სვანეთში არც ერთ წმინდანს არ სცემენ ისე პატივს, როგორც წმ. გიორგის; არც ერთი წმიდანი არა ჰყავთ ისე მიღებული, როგორც ის. ყოველ სვანს თავისი თავი წმ. გიორგის კაცად მიაჩნია და მთელი სვანეთის მფარველად სთვლიან მას. ამიტომაც არის, რომ უმეტესი ნაწილი სვანთა ეკლესიებისა ამ წმინდანის სახელობაზედ არის აგებული და მის სადიდებლად მართლმადიდებელ ეკლესიის მიერ დაწესებულ ყველა დღევებს მოწიწებით და გულმოდგინეთ უქმობენ.

V.

«ლაშპრობა» და «ლიჩქურაღ».

გათვინდება თუ არა „მეზ.“ და ფარისევლის“ კვირა დილა ყოველი ოჯახიდან, და მის სულზედ გამოიტანებენ თითო ეჩიქლილს და მთელი სოფელი, ერთად თავმოყრილი ზმწკრივ-მწკრივად დაწყობილი, გასწევს ერთ დანიშნულ ალაგისაკენ: იმ სოფელში სადაც ეკლესია-ეკლესიაზედ და სადაც არა, იქ ნასაყდრზედ მოიყრიან თავს. მისვლისთანავე პირველად დანიშნულ ალაგს შემოუვლიან გარს სამჯერ, შემდეგ მოუყრიან ყველა ეჩიქლილს ერთად თავს, თითონ მათ ირგვლივ გაჭერდებიან და დაიწყებენ

სხვადსხვა ძველ სვანურ საგალობლებს, რომლებში აქებენ და აღიღებენ წმ. გიორგის და სხვა წმინდანებს. ეს საგალობელი ისეთი ძველი არიან, რომ თვითონ სვანებსაც არ ესმით დღეს კარგათ მათი შინაარსი. „ეგრემონის“ უმასპინძლებიან ერთ-მეორეს შინიდან მოტანილი არაყით, რის შემდეგ მასპინძლებს მიჰყავთ სტუმრები სახლებში. ამ კვირადღეს ეჩიქლილების გამო, ეძახიან „ლაშპრობს“ (ლაშპარი—ეჩიქლილი).

სტუმრბიანობა გრძელდება კვირა დღიდან ოთხშაბათ საღამომდი, რომლის განმავლობაში მოდღესასწაულე ოჯახებში არის განუწყვეტელი სმა და ქეიფი. ოთხშაბათ საღამოს კი სტუმრები წავლენ თავ-თავიანთ სახლებში. როგორც ზევით ვსთქვე „მეზ.“ და ფარის.“ კვირა დღეს ეძახიან ლაშპრობს მხოლოდ ამიღგან გამოწვეულ დღესასწაულს რომელიც ოთხშაბათ საღამომდი გრძელდება, ეძახიან—ლიჩქურაღს, რაც ნიშნავს წასვლა-წამოსვლას, მისვლა-მოსვლას, ჩასვლას. ამნაირ სახელს ეძახიან იმიტომ, რომ ამ დღეობაზე სოფელი თითქმის ორად იყოფა: წელს ერთი ნაწილი გადისდის ამ დღესასწაულს და მეორე მისი სტუმარია, გაისად ეს უკანასკნელი გადისდიან პირველი მათი სტუმარია. წელს მე გადისხი ამ დღეობას და მოვიპატრეებ ჩემს ნათესაებს, ჩემსავე საზოგადოებაში მცხოვრებთ და არა ვაგრეშებებს; გაისად ისინი გადისდიან და მე მიმიპატრეებენ, მერმეთ კიდევ მე და ასე ამნაირად წლის შეცვლით, როგორიგობით იხდის ყოველი ოჯახი ამ დღესასწაულს, „ლიჩქურაღად“ წოდებულს. როგორც გადმომცეს ფარის საზოგადოებას გადაეწყვიტა წინეთ, რომ ლიჩქურაღი არ ედღესასწაულეზობით და ეს გადაწყვეტილება პირველ წელიწადებში კიდევაც მოუკვანათ სისრულეში- მაგრამ საუბედუროდ მსვენებულ წელიწადს ცუდი მოსავალი ყუფილიყო, მას კიდევ მეორე და მესამე უმოსავლო წელიწადები მოჰყოლოდათ და სვანებს ეფიქრათ უსათოოდ ღმერთი გვირისხდება ლიჩქურაღის მოსპობის გამო და შიშილოებით დასჯას გვეჭადისო. ამიტომ „შეწერიათ სხვადსხვა მსხვერპლნი რისხვის თაიდან ასაშორებლად და ხელახლაღად დაეწყათ მისი დღესასწავლობა, ეს შემთხვევა საკმარისი იყო მათთვის, რომ დარწმუნებულნიყვნენ ამ ჩვეულების სიმტკიცეში და ღვთისაგან დაწესებულებაში, რის გამო არაფერს ხარჯს არ ერიდებიან, ოღონდ კი ბრწყინვალედ ჩაატარონ ეს უქმებები.

(შემდეგი იქნება)

სევერ. პაპაიძე.

აკოლოჯ ბარათაშვილის ძეგლის კურთხევა.

ახალშენები რუსეთში.

9 ოქტომბერს, შესრულდა 60 წელიწადი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა შესანიშნავი ქართველი მგოსანი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების* გამგეობას განზრახვა ჰქონდა ეს დღე ელღესასწაულნი იყოს, როგორც დიდებულ მგოსნის ხსენებას შეეფერება. ასეთ ელღესასწაულის გამართვას თხოულობდა ჩვენი პროვინციაც, სადაც ამის გამო ბევრი შეკითხვა მოუვიდა გამგეობას. არჩეულ იქნა კომისია, მოწვეულ იქნენ ქართლის რედაქციებისა და სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები.

მაგრამ, შეერთებულს სხდომაზე გამოიკვია, რომ ელღესადღეს პირობებში მეტად ძნელია სახალხო ელღესასწაულის გამართვა. როცა ხალხს შეკრების ნება არა აქვს, როცა სიტყვის თავისუფლება არ არის, როცა უბრალო შეკრებილება ხშირად ქართლის ღრით თავდება, მაშინ პოეზიის ელღესასწაულიც შეიძლება ტრაგედიად გადაიქცეს, სთქვენს წარმომადგენლებმა, და თითქმის ერთხმად გადასწყვიტეს: განზრახულ ელღესასწაულის გამართვა სხვა, უფრო მოხერხებულ დროისათვის, გადაიდოს.

დღეს კი პოეტის ხსენებას პატრიასევემთა ძეგლის კურთხევითა და გახზნით. დიდუბის ექსკლესიაში გადახდილ იქნა წირვა და შემდეგ მგოსნის საფლავზე — პანაშვილი. ძველი უკვე დადგმულია და საკმაოდ ღამაში გამოვიდა. ძეგლს აგვირგინებს ჯერ-ჯერობით, მარმარილოს ქნარი, რომელიც შემდეგში უნდა შეიცვალოს მერანის ქანდაკებით ძველი, რომლის სურათსა და აღწერილობას შემდეგ მოვათავსებთ, ყველა მხრიდან წარწერები აქვს მგოსნის ლექსებითა და.

გარდა ამისა, ზემოხსენებულმა კრებამ გადასწყვიტა პატარა კრებული დაბეჭდოს, რომელშიაც იქნება: პოეტის ზოგიერთი ლექსი, მოკლე ბიოგრაფია და დახასიათება. ეს კრებული უფსოდა დარიგდება ხალხში. ჩვენ გავიგეთ ამასთანავე, რომ მგოსნის ერთ პატრიასევემთა და ნათესავს განზრახვა აქვს მოკლე ხანში გამოცემის სურათში. არის ყველა თხოულებანი და წერილები ნაკრებით; დასურათებული იქნება ზოგიერთი ლექსი და პოემა მგოსნის. (ც. ფ.)

ძველი რეემის მომხრენი დღესაც კიდევ არ იშლიან თავისას და ისე განაგებენ ქვეყანას, თითქო ხალხი ძველებდურადე დაბრმავებული ყოფილიყოს და ვერ ხედავდეს მათ შემადარწუნებულ მოქმედებს და იონებს. შინაურ საქმეების აწვე-დაწვევამ, რუსეთში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებათა ერთმანეთში განზრახ გადამტერებამ, ხალხის უფლებათა გათვლემ და ბოლოს იაპონიასთან ომიანობამ ბრმასაც კი დაანახვა, რომ ყოველივე ამის ჩამდენ ბიუროკრატის შემდეგშიაც ბატონობა არ შეუძლიან, რომ რუსეთს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლება, არსებობა და განვითარება იმ თუ სახელმწიფო საქმეების მართვა თვით ხალხმა იკისრა და თუ მან ჩამოიშორა წინეთ გაბატონებული ელემენტები.

მაგრამ თვით ამ ელემენტებს ჩამოშორება არ უნდათ, — ისე იქცევიან, თითქო რუსეთში არაფერი არ შეცვლილიყოს. ამჟამად, როდესაც ხალხი ცდილობს გამოარკვიოს განაპირა ადგილების დამოკიდებულება შუაგულ რუსეთთან, როდესაც ყველა იმ აზრს ადგება რომ რუსეთის ყველა ნაწილი ერთმანეთში თანასწორ უფლებანი უნდა შეიქმნეს, რომ რუსეთის ყოველ ნაწილს უნდა მიენიჭოს უფლება თავისი ადგილობრივი საქმეები თითონვე განავოს, — აქა-იქ გაისმის, რომ უნდათ, რუსეთის განაპირა ადგილებში დასახლონ ხალხი, გადასული შიდა გუბერნიიდან, რომ უნდათ აზიანირად კავკასიაში ადგილ-მამული ჩამოართვან ისედაც უმიწაწყლობით შეწუხებულ ადგილობრივ ხალხს და გადმოსახლებულ კახკებს დუფრიგონ, რომ აზირობენ ამერიკაში გადასულ დუხოზორების დაბრუნებას და მათთვის აუარებელ ადგილების მიცემას. ეს ხმები და ამ ხმების შესახებ ადგილობრივმა საზოგადოებამ ჯერ კიდევ თავისი აზრი გულახდილად ვერ გამოსთქვა, ის პრინციპი, რომელიც ეროვნებათა თანასწორობის გამომახტველია და რომელიც კოლონიზაციის სრულებით უარ-ჰყოფს, — დღეს კიდევ ვერ შეუთვისებია ბიუროკრატის და იმთა ვინც ფიქრობს, რომ დღეს კიდევ მის ხელშია ხალხის ბედი და იღბალი.

ახლა გაზთებში ხმა ვავრცელდა, რომ კავკასიის გარდა უნდათ ციმბირშიც გამართონ ახალშენები. ის ჯარი, რომელიც გაგზავნილი იყო მანჯუ-

რიაში ომისთვის, ახლა იქვე უნდა დატოვონ ახალ-შენების სახით და იმ ბოროტ-მოქმედებას, რომელიც ასიათასობით ხალხი იმსხვერპლა და ეკონომიურადაც დასკა რუსეთი, ახლა კიდევ ახალი უნდა დადუმატონ და ამითი შეუძლებლად გახადონ რუსეთის მშვიდობიანი განვითარება. ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს ასეთი საქმე გაბატონებულ წრეების ხელში; ვიცით, რომ მის შესრულებას თან მოჰყვება აუარებელი ხარჯი, მოხელეების გამდიდრება, ხალხის ეკლატაქება; ვიცით, რომ მეზობელ ერს, ან მტრულ ვანწყობილება, რომელიც არ ჰქონდა არ მოაქვს მისა ვასანითა მოქმედებას, ახალ-ახალ ომიანობას გამოიწვევს და ამ ომიანობაში, ისევ ხალხი დარჩება ნაზარალევი და ისინი კი, ვინც საშინელ ხოცვა-ჟლეტის, სისხლის ღვრის და ხალხის ეკონომიურად დაბეჯავების მიზეზი იყვნენ, ისევე დაუსჯელნი დარჩებიან და გულდამწვინდებულად განაგრძობენ თავიანთ შემადრწუნებელ მოღვაწეობას.

ციმბირში შიდა გუბერნიდან, რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან ხალხი უნდა გადასასლონ—მეგრამ... რატომ არ ეციხებიან, უნდა თუ არა ციმბირის მცხოვრებლებს, რომ მათი მიწა ადგილი მათ წამოერთვას ტ მიიტყვს შიდა რუსეთიდან გადასულთ, —ან განა იქ, მანჯურიის ხალხი არ არის, განა ადამიანი არ არის ჩინელი, რომელიც მუდამ დღე შრომობს და ამ შრომით თავს იკვებს,—ბატონობას შეგვეუღლათ თვალში ისინი სრულ უფლებიანი ადამიანები არ არიან და არ შეიძლება მათ სურვილს რამე უფის და წინაშეგლობა მიეცეს.

როგორც ჩვენ კავკაზიაში მცხოვრებ ერების სურვილი არაფრად მიაჩნია მთავრობასთან დაახლოვებულს ზოგიერთ მოღვაწეს, როგორც ჩვენ, კავკაზიზმობის, წამდვილ სრულ უფლებიან მოქალაქეებად არ მივიჩნევით და როგორც ჩვენნი აზრის და სურვილის შეტყობა არ მიაჩნიათ საქიროდ, ისე იქ, შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებნი უფლებობდ არიან დატოვებულნი. შიდა რუსეთში მცხოვრებთა გაბატონების მსურველი განაპირა ადგილებს ამ მცხოვრებლების საკუთრებად სთვლის და ფიქრობს, რომ ყველგან ისე უნდა მოიქცეს ხალხი, როგორც ამ შიდა-რუსეთლებისთვის სასურველია.

ასეთი შეხედულება ცენტრალისტობის ნაყოფი არის, იმ სახელმწიფო სისტემის ნაყოფზე, რომელიც სხვადასხვა ეროვნებათა უფლებებს არაფრად აგდებს

და ცდილობს ერთი ენა და ერთი ერი გააბატონოს სახელმწიფოში.

სწორედ ამ სისტემის წინააღმდეგ მიმართულია რუსეთში მცხოვრებ ხალხთა საუკეთესო ძალები, ის, ვინც საზოგადოდ ყოველივე დაწავებისა და ძალმომრეობის წინააღმდეგია, ის, ვინც მუდამ ადამიანის განთავისუფლებას ლაპარაკობს, ეროვნულ განთავისუფლების წინააღმდეგი არ უნდა იყოს და პირიქით უნდა ცდილობდეს, რომ ეროვნულ თანასწორობას რეალური ნიადაგი მიეცეს.

ამ თანასწორობის განსახორციელებლად კი საქიროა, რომ ადგილობრივ ხალხის დაუკითხავად და მის ნება დაურთველად აკრძალული იყოს გარედგან ვისიმე ჩასახლება, რომ მოისპოს ახალშენები რუსეთში.

როგორც სხვა სახელმწიფოებში ყველა პროგრესული პარტია სახალწმენო პოლიტიკას ებრძვის, ასე უნდა ებრძოლოს ყველა ამავე პოლიტიკას, როდესაც იგი ერთ სახელმწიფოს საზღვრებში ხდება.

განა სამართალია, რომ იქნება უმრავლესობათ შეუწყებულ ხალხს კიდევ გარედან ჩასახლონ ვინმე,—მის დაუკითხავად, მის ნება დაურთველად? არა, ეს უსამართლობაა, როგორც ციმბირის, ისე კავკაზიისთვის, ეს უსამართლობა, როგორც ქართველისთვის, ისე მანჯურიის საზღვარზე მცხოვრებ ჩინელებისთვის, და ეს უსამართლობა ბოლოს მაინც თავს იჩენს და მოისპობა,—კი კიდევ რუსეთის ყველა კუთხეში სხვადასხვა ეროვნება თავის უფლებების შესახებ იწყებს ლაპარაკს და მოითხოვს თანასწორობას საქმით და არა სიტყვით, მოითხოვს ამ თანასწორობის განსახორციელებლად აუკილებელს ადგილობრივ თვითმართველობას იმ სახით, რომ ყველა ეროვნებას თავის ტერიტორიაზე ჰქონდეს მინჭებული უფლება თავის ადგილობრივი საქმეები თითონვე განავოს, სხვების დაუკითხავად.

მაშინ შეუძლებელი იქნება ერთ რომელიმე ეროვნების გულისათვის სხვების დაწავრა და შიდა გუბერნიების მცხოვრებთა გულისთვის სახელმწიფოს განაპირა ადგილებში ახალშენების გამართვა. (იგ.)



შუხრალ-გაზეთიმიდან.

ოფიციალური განცხადება.

კავკასიის ნაწესტიკის ნება-დაროვით კავკასიის გუბერნატორებსა, ოლქის უფროსებს, საგუბერნიო, საოლქო და რკინის გზის ენდარმთა გამგეობის უფროსებს, მათ თანაშემწეთ, პოლიციებისტრებს და მზრის უფროსებს დაეგზავნათ გენერალ შირინკინის ცირკულიარი, № 655, სადაც სხვათა შორის ნათქვამია:

„გავიყან რა საერთო ხასიათი კავკასიის სათანადო უფროსთა მოქმედებისა, სამწუხაროდ, უნდა ვიღიარო, რომ მათი მოქმედების ხასიათი არ შეეფერება მათის სამსახურის მოთხოვნილებათ. საზოგადოებრივ უზრუნველ-ყოფილებისა და სახელმწიფო წესწყობილების დაცვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ სათანადო მთავრობა დამსახურებს მკვიდრთა ნდობას და დარწმუნებული იქნება, რომ მთავრობის წარმომადგენლები მარტოდენ მკვიდრთა კეთილდღეობას ემსახურებიან, განურჩევლად კლასებისა, და თავის სამსახურის აღსრულების დროს მოხელენი ატყევენ და შეურყეველი იქნებიან.“

ჩვენ დაეხმებოდნენ იმ გარემოების, რომელთაც ადგილი არ უნდა ჰქონოდა მოხელეთა მოქმედებაში და რომელთა თავიდან აცილება საქირაა. 1) ჩვენ არა ერთხელ შევეჩმინევი, რომ ადგილობრივ მთავრობის ორგანოთა წარმომადგენელი ყოველივე მოძრაობის—მუშათა თუ აგრარულ—დასაბამად ასახელებენ ბოროტ-გამზახველთა აგიტაციას მათდამი რწმუნებულ რაიონებში და თხოულობენ ამ აგიტატორების გაძევებას, რის შემდეგაც ყოველივე მოძრაობა ვითომღა თავის-თავად ჩაქრება. ჩვენ არას ვიტყვი იმის შესახებ, რომ ასეთი აზრი პრაქტიკით არა მართლდება, ვინაიდან ბოროტ-გამზახველთა გაძევებით არავითარი მოძრაობა არ ჩამქრალა, ვიტყვი მხოლოდ, რომ ასეთი აზრი თეორიულადღც მართალი არ არის. ყოველივე აგიტაცია მხოლოდ მაშინ გამოიღებს ხოლმე ნაყოფს, როდესაც მას ნიადაგი აქვს ხალხში. მაშასადამე, ჩვენ ვერ დაუჯერებთ ადგილობრივ დაწესებულებათა იმ უფროსებს, რომლებიც ამტყევენ, რომ თუნდა, მაგალითად, სისტემატიური გაფიცვა ათასისა და ათიათასის მუშისა, რომელი გაფიცვებიც ხშირად

სამხედრო ძალის ხმარებას გვაიძულებენ ხოლმე და ამ ძალის ხმარებას აღმიანთა მსხვერპლიც მოსდევს, მარტო რამოდენიმე ბოროტ-გამზახველის აგიტაციის ნაყოფი იყოს ასეთი მსუბუქი ახსნა-განმარტება ამ დიად მოვლენათა, სამწუხაროდ, მარტო იმას ამტყევენ, რომ სათანადო მთავრობა გულგრილად ეცილება თვის თანამედრობათა აღსრულებას და არა სცილობს ყოველ მხრიდან გამოირკვიოს, შეისწავლოს ეს მოვლენა. უამისოდ კი მე არ შემიძლია წამესტიკოს გავცინო საქმის წამდვილი ვითარება. ამასთანავე ჩემ მოხსენებაში წამესტიკისადმი ყოველთვის დავასახელებ ხოლმე იმ მოხელეთ, რომლებიც წინაღვე ზედმიწევნით გამაცნობენ საქმის გარემოებას და ამითი საშუალებას მოგვცემენ, რომ ჯეროვანისა და სათანადო ზომების მიღებით თავიდან ავიცილოთ მომავალი სამწუხარო შედეგი. 2) ვინაიდან სათანადო მთავრობას ასეთი აცხადებ წარმოედგნა აქვს საზოგადოებრივსა და კლასობრივ მოძრაობის მიზეზებზე, შევამჩნიე აგრეთვე, რომ ძალიან ხშირად თხოულობენ ხოლმე ამა თუ იმ ბოროტ აგიტატორის სამშობლოდან გაძევებას. უნდა ვსთქვა, რომ რადგანაც სისხლის სამართლის ახალს დებულებებში ძლიერ ნათლდაა აღინშნული ეს თეი-სება, რომელთა მეფობით ესა თუ ის პირი უნდა დასაჯოს სისხლის სამართლის წესის 1035 მუხლის ძალით სახელმწიფო წესწყობილების საწინააღმდეგო მოქმედებისათვის, მე არ შემიძლია მხარი დაუჭირო ფართო პრაქტიკის აღმინსტრატული დასჯისას. მე მგონია რომ ამგვარი ბრძოლა სახელმწიფო წესწყობილების მტერთა წინააღმდეგ, რომელ მტერთა გამაოვლებს შეიძლება აღმინსტრატულიმარტრებზე სიებმაც შეუწყოს ხელი, არამც თუ სასარგებლო არ არის, არამედ პირდაპირ მენებელიცაა ჩვენთვის, ვინაიდან ასეთი ხშირი და სასტიკი ზომები ხალხის თვალში მთავრობას აბრუს უტყვენს ღეგებს ჰბადებს მის სამართლიანობა-თანდათანობაში. აღმინსტრატული მტრებისა მხოლოდ იშვიათად და უსაკროვებს შემთხვევებში უნდა იხმარებოდეს. ხოლო როცა ეს რებრუსთა საერთო წესადა ხდება და იხმარება არა იშვიათ შემთხვევაშიც კი, აღუეგებს და ამწვა-ეგებს ხალხს, სთესავს შულლს მთავრობის წარმომადგენელთა შორის და ხელს უწყობს მთავრობის მტრებს, რომ ეს ზომები მთავრობის თვითნებობად მონათლოს. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ყან-



დარბაზი კორპუსის მოხელენიკ მიმართავენ ხოლმე ამ ზომებს, ჟანდარბაზი ოფიცრების უღონობას ამტკიცებს, ამტკიცებს იმას, რომ ამათ არ ძალ-უძთ საქმის რიგინი გამოძიება, ანუ სათანადო დამტკიცება ამა თუ იმ ავტორის მოქმედებისა, რომელიც შეიძლება დასასჯელიც არ იყოს.

მაგალითად, დღეს მე ხელთა მაქვს მოხსენება ჟანდარბებისა იმ პირთა აღმინისტრატულად დასჯის შესახებ, რომლებიც ავტორიას ეწეოდნენ მუშათა, მეეტლეთა და ლაქებ შორის და ის კი არ არის ნათქვამი, რომ ეს პირნი სრულიად არ ეკუთვნიან რომელიმე აკრძალულ ორგანიზაციას და ავტორიას მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზე ეწეოდნენ. ერთი მათგანის შესახებ ხომ საკმარისი საბუთიც არ არის ნათქვამი. მეორის შესახებ კი არის. ეს მეორე 17 წლის ჭაბუკია და ისეთი საქციელიც ჩაიდენია, რომ იგი განსამართლებულ უნდა იქნას სისხლის სამართლის წესით და პასუხის გებაშიაც მიუტიათ. მაგრამ არც ჟანდარბს და არც ბრალმდებელს საქირად არ დაუნახათ მისი წინასწარი დაპატიმრება. ვინაიდან საკმაო საფუძველს ვერა პოულობდნენ. ვიმეორებ, რომ ფაქტურად დაუსაბუთებელი მოსენება არც კი უნდა წარმოედგინათ. ამ ორ კაცს სულ სხვადასხვა დანაშაულის ჩადენა ბრალდებით, და მათთვის ერთსა და იმავე დასასჯელის დადებას კი თხოულობენ. როდესაც ეს მოხსენება ნამეტნიკის წარუდგინე, ნამეტნიკმა მოისურვა მხოლოდ მეორის დასჯა სისხლის სამართლის 1035 მუხ. ძალით და მიბრძანა ორივენი გამენათავისუფლებინა და თან გამეფორთხილებინა, თუ კიდევ ჩაიდენდნენ რაიმე დანაშაულს, მაშინ კი ვადასახლებულ იქნებოდნენ.

მეორე შემთხვევა. საქმის გამოძიება პოლიციის ცნობით ქალაქის გამეგობაში არა კეთილსამიგელო მოსამსახურეთა, რომლებიც გაიფიცნენ და ჯამაგირის მომპატივებას თხოულობდნენ, მოახდინა ჟანდარბთა კორპუსის აფიცრებმა. გამოძიება უმთავრესად დამყარებულია გაფიცვის პირობების გამოკვლევაზე, მაგრამ ძლიერ ნაკლები საბუთები კი აღმოჩნდა. სხვათა შორის ძნელი გამოსაძიებელი აღმოჩნდა ჩვენება რამდენიმე კაცისა ერთის შესახებ, რომელიც ვითომ აკრძალულ სარეგულირებელი წიგნაკებს აკითხებდა სხვებს. გამოძიებაში მოხსენებულია მეორე მოუსვენარი კაცი, შეიძლება დაგნებულ კი, მაგრამ, ამის დასასჯენლად საკმაო საბუთები ვერ შე-

უკრებიათ. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ჟანდარბთა ოფიცერი გამოძიების დროს ყალბ გზას დაადგა და გამოძიების სავნად თვისობად უმნიშვნელო ფაქტი აირჩია—გაფიცვა მოსამსახურეთა ჯამაგირის მომპატივების მოთხოვნით—ფაქტი, რომელიც ან არავითარ ჟანდარბთა გამოძიებას არა საქირებდა, ან ამ აფიცრება ვერ მოახერხა აღმოეჩინა ფაქტები ქალაქის გამეგობაში მოსამსახურეთა არა კეთილ-სამიგელობისა. ამ საქმის გამო კი აღგილობრივი მთავრობა რამდენიმე კაცის ვადასახლებასა თხოულობს, ამავე დროს ამავე საქმიდანვე სხანს, რომ სამი ბრალდებულთაგანი დასჯილ უნდა იქნეს სისხლის სამართლის 1935 მუხლის ძალით, თუმცა არც ერთი მათგანი დატუსაღებული არ არის.

ეს მეორე საქმე თვალსაჩინოდა ჰყოფს, რომ მთავრობის ადგილობრივი წარმომადგენელნი სათანადო გულმოდგინებითა და დაკვირვებით არ გუყვრობიან თავის სამსახურის მოვალეობის აღსრულებას. სულ უბრალო საქმეა და 56 ფურცელი ქალაქი კი გაუჭურვებიათ, თუ იმ მიწერ-მოწერას არ ვიანგარიშებთ, რომლებიც საქმეში არ არის ჩაყვრებული და რომელიც წარედგინა ნამეტნიკის საბჭოსა და ზედ მეტი და უსარგებლო დროს დეკარგვა გამოიწვია, ვინაიდან სასტუე რებრესიულ ზომების მიღება იმ უმნიშვნელო გაფიცვისა გამო, რომელიც გამეგობის კედლებს არ უნდა გასცილებოდა, არამც თუ გამაწვავებდა იმ პირთ, რომელთაც ეს რებრესია დაადგებოდათ, არამედ ააღვლებდა კიდევ მცხოვრებთ და ამხედრებდა მთავრობის წინააღმდეგ, რადგანაც ამ რებრესიების მისაღებად საჭირო საბუთი ხელთ არ გვექირა.

3) შევამჩნიე აგრედვე, რომ ხშირად ატუსაღებენ ხოლმე სხვადასხვა პირთ, თუმცა საამისოდ საკმაო საბუთები არა აქვთ. ასეთი ამბავიც მომხდარა, რომ ჟანდარბის აფიცრის დაუტუსაღებია კაცი, და თავის გადაწყვეტილების ასლი ბრალმდებელისათვის არ გაუგზავნია—რასაც კანონი სასტიკად თხოულობს—და არც თავი შეუწუხებია საქმის გამოძიებით. კაცი იგი ორ კვირაზე მეტი იჯდა ციხეში და განთავისუფლებულ იქნა მხოლოდ მაშინ, როცა ეს ბრალმდებელმა მოითხოვა ამ ტუსაღის საჩივრისა გამო. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ ეს კაცი სრულიად უდანაშაულო ყოფილა ზე ჟანდარბის აფიცრის ცოტა თავი რომ შეეწუხებინა, დატუსაღების რამდენიმე



სათის შემდეგ, სრულ სიმაართლეს შეიტყობდა. უნდა ახსოვდეთ სათანადო მოხელეთ, რომ თავისუფლების წარამევა და კაცის ოთანში მარტოთ გამოიწყელოდა ისეთი დიდი სასჯელია, რომ სასტიკი ზომები უნდა იქმნეს მიღებული იმთ წინააღმდეგ, რომლებიც ასეთ სასჯელს ვისმე უსაბუთოდ მიაყენებენ 4) თუ მთავრობის წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი თვითნებობა აბრუს უტყბავენ ამ მთავრობას ხალხის თვალში და ხალხს სამართლიანად აღეულებს, არა ნაკლებ ასუსტებს და ამცირებს მთავრობას ის გარემოებაც, რომ მთავრობის წარმომადგენელნი გულგრილად ეკიდებიან თავის მოვალეობის აღსრულებას და მთელის თავის ძლიერებით არ გამოიჩენენ ხოლმე იმ უფლებათ, რომელიც მათ აქვთ მინიჭებული. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ის მოვლენა, რომ ხალხი, რომელიც აქამდე ემორჩილებოდა კანონიერ მთავრობას, ხედავს რა მთავრობის სისუსტეს, დღეს გადაუდგა მის და დემორჩილად აღიღებოდა კომიტეტებს. ამ გვარი მოვლენა აიხსნება მარტო იმით, რომ მთავრობის მოხელენი მთელის წლების განმავლობაში ყურადღებას არ აქცევდნენ ხალხის მწუხარებად აღიხსნებას. გულგრილად ექცეოდნენ თავის მოვალეობათა აღსრულებას და ამიტომაც, მოულოდნელად, ხალხის გარეშე დარჩნენ. ის ხალხი, რომელმაც დაინახა სისუსტე მთავრობის ორგანოთა, დემორჩილ იმ საიდუმლო კომიტეტებს, რომლებიც ხალხისა და თვით მთავრობას ტერორით უმკლავდებიან. ამგვარი უწყესობა და ანარხია დიდად მაზარათელია სახელმწიფო წესწყობილებისათვის. ხოლო მთავრობის წარმომადგენლები თავის დროზე რომ დაპყვირებოდნენ ხალხის ვაჭირებებს, ან საცხებით შესდგომოდნენ მათდამი მინიჭებულ უფლებათა აღსრულებას, ამისთანა ამბავი არ მოხდებოდა.

5) საწყობაროდ ასეთივე გულგრილობა მოსჩანს ზედამხედველ ორგანოების მოხელეთა მხრივ სარევილიეთი მოქმედების აღმოფხვრის დროსაც. ეს მოხელენი გამოეკიდებიან ხოლმე ისეთ მოვლენებს, რომელთაც არავითარი სარევილიეთი მიხანი არა აქვს, ასტებენ ხოლმე დაუსრულებელ მიწერ-მოწერას და თავისი პირდაპირი დანიშნულება კი—აღმოჩენა მთავრობის მოწინააღმდეგეთა და მათ მოქმედებათა—აიციწყებათ. ამასობაში სახელმწიფო წესწყობილების მოწინააღმდეგენი ძალას იკრებენ,

სარგებლობენ მთავრობის წარმომადგენელთა ცალმხრივ გატაცებით და თავის ქადაგებას ყველგან ავრცელებენ. კავკასიის ქანდარბთა ერთ-ერთ სამმართველოს უფროსი მთელის წლის განმავლობაში გულმშვიდად აღნიშნავდა ხოლმე იმ ვარემოებას, რომ ჯარის ერთ-ერთ ნაწილში ვიღაცების სახელმწიფო წესწყობილების საწინააღმდეგო მოწოდებათ ავრცელებდნენ და დასქენდა ხოლმე დამნაშავეთა აღმოჩენა ვერ მოხერხდაო. ასეთის გულგრილობის შედეგმა აღარ დაიგვიანა. ახლა იგივე უფროსი იუწყება: ჯარის ამ ნაწილში შესამჩნევი მოძრაობა დაიწყო და თავის მთავრობას პირდაპირი უწყაყოფილებაკი გამოუცხადა და «უდიდ საჭმელი» მოიმიზეზაო. ამგვარად, რევოლიუციონერებმა იქაც კი მიაღწიეს, სადაც მათ ყოველგვარი გზა დაბნული უნდა ჰქონოდათ.

6) აქამდის აუსრულებელი რჩება კავკასიის პოლიციის უფროსისადმი ინსტრუქციის მე-13 §, რომლის აუსრულებლობაც ძრელი ხელს მიშლი. უმაღლესი მოხელენი მოვალენი არიან დაწვრილებით აუხსნან და განუმარტონ აღმსრულებელ ორგანოებს, თუ რა დროს უნდა მიმპართონ ხოლმე იარაღს. ექვს გარეშე, რომ კავკასიის ცხოვრების განსაკუთრებული პირობები დაუყოვნებლივ თხოულობს იარაღის ხმარებას იქ, სადაც საჭიროება მოითხოვს, მაგრამ ისიც ექვს გარეშეა, რომ იარაღის უადგილო-ადგილას ხმარებაც მცხოვრებთა შორის დიდ უწყაყოფილებას და გულის წყრომას იწვევს და ხალხსა და მთავრობას შორის შუღლსა სთესავს, ამიტომ უფროსებმა უცნობებს გადაჭრით უნდა განუმარტონ ხოლმე იარაღის ხმარების დრო. ვიმეორებ იარაღი, დაუყოვნებლივ უნდა იხმარებოდეს, იქ, სადაც საჭიროა, მაგრამ თუ ამ საჭიროებამ განვლო, ან არა ყოფილა ასეთი საჭიროება—იარაღის ხმარება თვითნებობად უნდა ჩაითვალოს. მავალითად, დამნაშავეს დაჭერის დროს, საჭიროა იარაღის ხმარება, მაგრამ თუ დამნაშავე უკვე შეიპყრეს, შეპყრობილის ცემასა და ზედ მეტ შევიწროებას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს.

მე თვითონ ხელს შეუწყობ იარაღის ხმარებას მაშინ, როდესაც საჭიროა, მაგრამ ამავე დროს სასტიკად მოვეპყრობი თანამდებობის პირთ, თუ იმათ რაიმე თვითნებობა და თავქეიფობა გამოიჩინეს.



ახალი ამბები და შენიშვნები.

* 1 ოქტომბერს ბაქოს სამხედრო სასამართლომ დაასრულა თავ. მ. ნავაშიძის მოკვლის საქმის გარეევა და ყველა ბრალდებულთ ჩამოხრობა მიუსაჯა.

* სახელმწიფოს სათათბიროს ვახსნა დანიშნულია 14 იანვრისათვის. — განსაკუთრებულ საბჭოს კველა წევრებს, აგრეთვე მინისტრებსა და მათ ამჟამათ დაუბრუნდით პროექტი მინისტრთა კაბინეტის დაწესების შესახებ.

* კობეკის კომისიამ განიხილა პროექტი ბექლეთი სიტყვის კანონების შესახებ. მთავარი აზრი პროექტისა ის არის, რომ სასჯელი სასამართლომ ავტორებს და გამომცემლებს-კი არ დაუნიშნოს ხოლმე, არამედ თვით ნაწარმოებს.

* 1 ოქტომბერს ხარკოვის სასულიერო სემინარიის მოწაფეებმა მოუწოდეს ყრილობაზე რექტორისა და მასწავლებლებს და გააცნეს იმ პეტრიციის შინაარსი, რომელიც მათ სინოდში გასავაჭავნად შემოქმედეს და რომელიც ებება სემინარიაში სწავლა-აღზრდის საქმის ძირიანად შეცვლას. სანამ სინოდისაგან დაწერილებითი პასუხი მოვიდოდეს, სემინარიელები აღარ იმეცადინებენ. რექტორმა მიიღო ფრიად კორექტულად შედგენილი პეტრია, აქიციისკაოზში არსენი ემუსაიფა სემინარიელებს პეტრიციის შესახებ და აღუთქვა მისი სინოდში გაგზავნა. ახალ-ვაზრდებს ერთი უმართებულო რამ არ ჩაუდენიათ.

* საქართველოს ექსარხოსმა უშამღგომლობა აღძრა სინოდის წინაშე, რომ ბერძენი და რუსი მოწაფენი, რომელთაც გაფიცვაში მონაწილეობა არ მიიღეს, მიღებულ იქნენ რუსეთის სხვადასხვა სემინარიებში, როგორც კეთილ-სამედონი.

* უწმ. სინოდში ექსარხოსმა გაგზავნა დაწერილებითი მოხსენება სემინარიაში მომხდარ ამბების შესახებ.

შეტკრწურვა, 30 სექტემბერი. თავადი ტრუბეცკოი აქ 29 სექტემბერს მოვიდა. ნაშუადღევს სამ საათზე სახალხო განათლების მინისტრს მოხსენება წარუდგინა. მოხსენების კითხვამ ერთ საათს გასტანა. თავადმა გადაჭრით აღიარა, რომ იგი წინააღმდეგია სტუდენტთა ყრილობებზე, უნივერსიტეტში, გარეშე პირთა დასწრებისა. და პოლიტიკურის ხასიათის

მიტრგების გამართვისა, თავადი სწულდა, რომ პეტრობურგის უნივერსიტეტში გარეშეთა დასწრების შესახებ არაერთი საწიადმდეგო ზომები არ არის მიღებული და მით მოსკოვის სტუდენტობას ცუდ მაგალითს აძლევენ. თავადმა მოსკოვის უნივერსიტეტის სხვადასხვა მატერიალურ საქირიებაზედაც ღილაპარაკა. მინისტრი დიდად მაღლივით დარჩა და სთხოვა მონაწილეობა მიეღო ამ კომისიაში, რომელმაც უნდა საუნივერსიტეტო წესდება უნდა შეიმუშავოს. ამ კომისიის კრება დაიწყო 4 1/2 საათზე. თავადმა კამათში მონაწილეობა მიიღო და წესდების პროექტს საესტებით მიეწმხრო. საღამოს 7 საათი იქმნებოდა, რომ თავადი უცბათ გაფთხორდა, სავარძლის ზურგს მიეყუდა და დაარბაზიდან მეორე ოთახში გაიყვანეს. პირველი საექიმო დახმარება აღმოუჩინა კომისიის წევრმა, ვარშაივის უნივერსიტეტის პროფესორმა შერბაკოვმა. ათს საათზე თავადი ეღენეს კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც იგი გარდაიცვალა 12 საათზე. თავადს ცნობიერება აღარ დაპტრუნებია.

* შეტკრწურვა, 30 სექტემბერი. ტრუბეცკოის გარდაცვალების გამო, უნივერსიტეტში სწავლა შეწყდა. სტუდენტთა ყრილობამ დაადგინა გვირგვინისათვის ფული მოაგროვონ. ყრილობის შემდეგ სტუდენტები კირონი ქუჩაზე, კლინიკაში წვიდნენ, სადაც ტრუბეცკოის სულის მოხსენებლად პანაშვიდი გადაიხადეს.

* მოსკოვი, 1 ოქტომბერი. წირვისა და პანაშვიდის შემდეგ, რომელიც უნივერსიტეტის ეკლესიაში იქმნა გადახდილი, უნივერსიტეტის საბჭოს სავანგებო კრება მოხდა. კრების დაწყების პროფესორმა მანუილოვმა ტრუბეცკოის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა. საბჭომ დაადგინა: გაიგზავნოს პეტრობურგს ოთხი პროფესორი, რომელთაც კუბო გვირგვინებით უნდა შეამკონ; მგლოვიაროსის ნიშნად უნივერსიტეტში სწავლა შესწყდეს; იშუამდგომლონ, რომ საბჭოს დარბაზში გამოკიდულ იქმნას ტრუბეცკოის სურათი და სხვაფრთვაც უკვდავ კუბო სხელი გარდაცვალებულისა. სტუდენტების ყრილობაზე მანუილოვმა უარ-ჰყო ის აზრი, ვითომც თავ. ტრუბეცკოი ძალად იყოს მკვდარი.

* ტრუბეცკოის კუბოს შესამკობლად ვარშავიდან გაგზავნეს ლითონის გვირგვინი შემ-



გვის წარწერთა: «პატიოსან ადამიანს, პოლონეთის ახალგაზრდა ვარშავიდან».

* * 2 ოქტომბერს ნაშუადღევს მესამე საათზე გარეშე საქმეთა მინისტრი მოვიდა, ამერიკის რწმუნებული და იაპონიის იმპერატორის მიერ საზავო ხელშეკრულობის რატიფიკაციის შესახებ ოფიციალური განცხადება გადასცა. ტოკიოს მთავრობას დღესვე უნდა გადაეტეს ტოკიოში მყოფ საფრანგეთის ელჩის ხელით ასეთივე ოფიციალური განცხადება ხელშეკრულობის უმაღლესად რატიფიკაციის შესახებ.

* * კირონი ქუჩაზე (პეტერბურგში) აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ტრუბეტკოის გვიმის ვაგზალზე გასაცილებლად. დილის 11¹/₂ საათზე გამოასვენეს მუხის უბრალო კუბო და დროგზე დასვენეს, ხალხი ნიკოლოზის ვაგზლისაკენ დიჯად დაიძრა. წეს-რიგს სტდენტები იცავდნენ. იქ მყოფი განდარმები ხალხის მოთხოვნით პროცესიდან წავიდნენ. სტუდენტთა ხორა მგალობლებთან ერთად „საუკუნო სასწავლებელს“ ვაღიდა. კუბო გვირგვინებით მორთულ საგანგებო მატარებელზე დაასვენეს. მოსკოვის უნივერსიტეტს ვერცხლის გვირგვინი გამოეზავნა ზედწარწერით: „საყვარელ რეპტორს, რუსეთის დიდებულ მოქალაქეს“ ხელმწიფემ ცოცხალი ყვავილების გვირგვინი უძღვნა. ქვრივმა ეწინაა ხალხს მადლობა გამოუცხადა მისის მეუღლის ასეთ პატივისცემისათვის. მატარებელი დაიძრა, ხალხი ნელ-ნელა დაიშალა ნევსკი პროსპექტით.

* * თავ. ტრუბეტკოის გვიმის გაცილების დროს ხანაშენის მოედანზე ვილადამ არეღლეფერი დასცალა. ამის შემდეგ კახაკები და თვადარმები ხალხს დაერივნენ და გაჰფანტეს. ხალხი დიჯად, სიმღერით დაჰყვა ნევს პროსპექტს. წითელი დროშები ააფრიალეს. დრო გამოშვებით პოლიცია და კახაკები ბრბოსა ჰფანტავდნენ. როცა ხალხი უნივერსიტეტთან მივიდა, კარის გაღება ელოდა, ამ დროს გამიანდნენ თანდარმები და კახაკები, რომელთაც ხალხმა ქვების სროლა დაუწყია. ვინც უნივერსიტეტში ვერ შევიდა, პოლიციამ გარაკვა დაუწყია. ორ დაჭრილს უნივერსიტეტშივე შეუხვიეს კრილობა. პოლიციისაგან შეწუხებული ხალხი უნივერსიტეტის შენობაში ჩამტვრეულ ფანჯრებიდან ჩაცვინდა.

* * ხელმწიფემ კეთილ-ინება და პირველ ამ ოქტომბერს დაამტკიცა პორტსმუტში დადებული საზავო ხელშეკრულობა. ეს ამბავი ეცნობა ტოკიოს მთავრობას ტოკიოში მყოფ საფრანგეთის წარმომადგენელის პირით. 2 ოქტომბერს, ამ დღიდან ხელშეკრულობა ძალაში შედის. საზავო ხელშეკრულობის ტექსტი ამ მოკლე ხანში იქნება გამოცხადებული ჩვეულებრივის წესით.

* * პეტერბურგი, 6 ოქტომბერი. გამოქვეყნებული უმაღლესი მანიფესტო რუსეთისა და იაპონიის შორის ზავის ჩამოგდებას შესახებ. შეწვევითა ღვთისათა, ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვითმყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა და სხვათა და სხვათა. ვაუწყებთ ყველა ჩვენს ქვეშევრდომს: ამა წლის 23 აგვისტოს, ჩვენის ნებაართვით ჩვენმა რწმუნებულებმა პორტსმუტში შეაკრეს და ჩვენ 1 ოქტომბერს დავაამტკიცეთ რუსეთსა და იაპონიას შორის ზავის პირობები. ღვთის განგებით ჩვენს სამშობლოს მოველინა ომის საზარელი უბედურებანი, რომელშიაც ჩვენმა ჯარებმა თავი ისახლეს განუსაზღვრელ თავდადებითა, განწირულ სიხამაცითა და საგმირო საქმეებით. ამჟამად ეს ომი მოსაპიბილია, ჩვენი სამფლობელო აღმოსავლეთი აქედან ჩვენი მეგობარ იაპონიის მეზობლობით ისევ მშვიდობიანობას დაუბრუნდა. ვაუწყებთ რა ჩვენს ქვეშევრდომთ ზავის ჩამოგდებას, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ისინი შეუერთებენ თავის ლოკვას ჩვენსა და, ღრმად დარწმუნებულნი ღვთის დახმარებაში, მოიწვევენ ღვთის კურთხევას იმ დიდ სამუშაოზე, რომელიც ჩვენ ხალხის მიერ ამორჩეულ კაცებთან ერთად სახელმწიფოს შიგნით მოწყობის გასაუმჯობესებლად უნდა განვიხილოთ. პეტერგოფი, 5 ოქტომბერი.

* * სინოდმა განსაკუთრებული კომისია დანიშნა ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორის სარევიზიოდ.

* * ტუხლისის პოლიცემისტერმა დაივალა პოლიციის მოხელეებს, კერძო სახლების განჩრეკის დროს აუცილებლად გარეშე პირნი დაისწრონ ხოლმე.

* * პეტრე მირიანაშვილს ნება დაერთო გამოსცეს ქართულად „პატარა გზეთი“.



* * გახვთ „ნოვ. ობო.“ სიტუვით, კავკასიის ნამესტნიკის პაროზის ერთ-ერთ გახვეთის თანამშრომელთან ლაპარაკის დროს, სხვათა შორის უთქვამს: კავკასიაში მღელვარება სამ აღივას არის: ბაქოსა, ქუთაისისა და განჯაში. პირველ ქალაქში უნდა კარგი პოლიცია შესდგეს და სამხედრო და სამოქალაქო უფლებანი ერთს კაცს უნდა ჩაბარდეს. ქუთაისში ხალხი მეტად განვითარებულია და აგიტატორებს თითონვე მოიცილებენ თავიდან. განჯაში და ერევანში პრინცი ნაპალეონმა არეულობა უკვე მოსპოო. ქართველებს შორის სეპარატიული მოძრაობა არ არის. ქართველებს კარგად ესმით, რომ რუსეთი იცავს მათ ოსმალისა და სპარსეთისაგან. არეულობა სეპარატისტების ოცნების შედეგი კი არ არის, კავკასიიდან ჯარების გაყვანის შედეგიაო. ახლა ამ შეცდომას გავსწორებთ და კავკასიაში ჯარებსა ვგზავნიოთ. რაც შეეხება მაჰმადიანებს, მათ მოძრაობაში პანისლამიზმს აღგლი არ აქვსო. ეროვნულ გამწვავების თავიდან ასაცილებლად კავკასიაში ყველა მოხელეთ ამის შემდეგ უთუოდ რუსებს დანიშნავენ. კავკასიის მდგომარეობა ძალიან ჩახაფიკრებულია. ამას 15 ოქტომბერი დაამტკიცებო. 15 ოქტომბერს ახალ ჯარის კაცთა მოკრება დაიწყება და მაშინ გამოჩნდება აგიტაციის შედეგო.

* * როგორც მკითხველებმა იციან, ტფილისის სასულიერო სემინარიის იმ მოსწავლეების შესახებ, რომელთაც ვაფიკავში მონაწილეობა არ მიუღიათ, სემინარიის თავმჯდომარეებმა შუამდგომლობა გადაგზავნა სინოდალში, რომ მათ სხვა სემინარიებში გადასვლის უფლება მიეცეთ, ვაფიკულ მოწაფეებში ზოგმა დოკუმენტები წაიღო, უმეტესობა კი ჯერჯერობით საქმის ვითარებას უცდის... ამ დღეებში პეტერბურგიდან რევიზორი მოვიდა, რომელსაც როგორც ამბობენ, სასინოდო კანტორის საქმეებთან ერთად, სემინარიის საქმეების განხილვაც დაევალო.

* * 7 ოქტომბერს, თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში თავად-აზნაურთ მხარის წინამძღოლების კრება მოხდა. კრებაზე, სხვათა შორის, აღიძრა საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკე-

ფალიის შესახებ. ამ საკითხის გამო 9 ოქტომბერს, ნამესტნიკს განსაკუთრებული კომისია წარუდგა.

* * მთავრობამ სამხედრო მინისტრ წვლიწაღში ასი ათასი მანეთი დაუნიშნა... ბინის დასაქირავებლად. დღემდის მინისტრი ხაზინის სახლში იდგა. ეს სახლი ხაზინას 700,000 მანათი დაუჯდა. ახლა ამ სახლში სახელმწიფოს მოსაგერებელი სამმართველო მოთავსდება (ს. ო.).

* * ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორას თავისუფალი თანხა ჰქონია 242,000 მანეთი. ეს ფული პეტერბურგში ყოფილა შენახული და შემდგომ საქართველოს ეკლესიის სინოდის ხელში გადასვლის შემდეგ იმ ფულიდან, რომელიც ყოველ წელს გადაუნარჩუნებიათ, იმერეთს ასეთივე საეკლესიო ფული ჰქონია 19,700 მანეთი. ესეც პეტერბურგში ინახება. ესლა სინოდს წინადადება მიუცია კანტორისათვის, ამ ფულიდან შეეფასოს, თუ ვინიცოხა არდაზიანის ქონება არ აუცა, სვეტიცხოველის სასარგებლოდ შეკრებილი და არდაზიანის მიერ გაფლანგული 87,000 მანეთი.

წუ თუ სინოდალნი კანტორაში მოსამსახურე პირები, რომელნიც კანონიერად რვეიზიას არ მოახდენდენ-ხოლმე თავისუფალნი იქნებიან ჰასულიან-გებისაგან?.

* * როგორც ვაგივით ცნობილ ვოსტორგოვს დღესაც ეძლევა ჯამაგირი უკლებლად კანტორიდან თუმცა იგი სრულებით არ არსებობს საქართველოში. ამავე სულიერ მამას წაუღია ორი ათას ექსასი მანეთი ჩვენი ღარიბ ეკლესიებიდან მოზოქილი იმ სტატეების საფასოთ, რომლებითაც აქებდა და აღიღებდა მაღალ ნიქს ყოფილი ექსარხოსის აღქვისისას. ეს ფულეში მისცა ყოფილმა ექსარხოსმა აღქვსიმ.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტარატორო ბანოშვილება: ექიმი იოანე გომართლის სტატის გამო, „რა გზას უნდა დადგეს სანდღელოება?“, დეკ. დ. ლამაზიძის. —სამართლო სჯულის სწავლების შესახებ. —სათავად-აზნაურო გიმნაზია. —ზემო სენეთი, სვე. კველიძისა. —ნოკ. პარათაშვილის ძეგლის კურობევა. —ახალშენები რუსეთში. —ყურნალ გახუთებიდან. —ახალი ამბები და ზენიშენები.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამაზიძე, Редакторь-Издатель П. Д. Гамбашидзе
 Довзлено цензурою 15 сентября 1905 г.

Тавог. редакция журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) в Квирилахъ въ собст. домѣ.